ეძლო, ბარათაშვილმა მოაგროვა მასალები ისტორიისთვის პეტერბურგში და შემდეგ განიზრახა თფილისშიაც შეეგროვებინა, რადგანაც იქ ეგულგებოდა ძალიან ბევრი საისტორიო მასალები. ამ აზრით ის ჩამოვიდა თფილისში. რასაკვირველია, ბარათაშვილის ამისთანა განზრახვა უმრავლესმა პირებმა სასაცილოთ მიიღეს; ამის გამო ახალ-გაზდა კაცი თუმცა ძალიან დაღონდა, მაგრამ მაინც თავის აზრს არ უმტყუნა და უმეტესათაც გამხნევდა. ამის ბედზედ გამოჩნდა ერთი შემთხვევა. ისტორიკოსი მიხაილოვსკი-დანილესკი (Михайловский-Данилевский) მაშინ სწერდა 1812 წლის ისტორიასა. რადგანაც ამ დროს საქართველოშიც იყო ომიანობა სპარსელებთან, ამისთვის იმან მოინდომა, რომ თფილისში მოეგროვებინათ მასალები ამ ომიანობაზედ და შემდეგ გაეგზავნათ პეტერბურგში დანილესკისთან. მაშინ აქ მთავარმართებლად იყო ნიელგარდი. ის ბარათაშვილს პეტერბურგშივე იცნობდა. იმას ამ ჟამად მოაგონდა ეს აფიქერი და სხვათა შორის იმასაც ჩააბარა ისტორიულის მასალების მოგროვება. ამის გამო შესდგა კამისია და ეგონებოთ ამ კამისიის პრედესდატლად იყო თავადი ლეევან მელიქი-შვილი, ახლანდელი ღწერალ-აღმუხტატი. რასაკვირველია, ამისთანა შემთხვევამ ძალიან გაახარა ბარათაშვილი და ამით ძალიან გამხნევებულმა მიჰყო ხელი თავის საქმეს. რაკი შეაგროვა იმდენი მასალები, რამდენიც შეეძლო, იმან დასწერა ორი პატარა ისტორიული სტატია და აკადემიაში გაგზავნა. ამის შემდეგ ის ირიცხებოდა აკადემიის თანამშრომელ წევრად (членъ сотрудников); იმის გარდა ამან კიდევ სხვა რამდენიმე სტატიებიც დაწერა „Кавказ“-ში და სხვაგან. 1861 წელს, როდესაც ის იყო შაბარდოს ნაწილის თანამშემწე, მაშინ დაწერა სტატია: О хозяйствѣ въ большой и малой Кабардѣ და გაგზავნა დასაბეჭდათ თავისუფალის საეკონომიო საზოგადოების ჟურნალში (Труды Вольно-Экономическаго Общества), რომისთვისაც ჩარიცხეს, იმის დაუკითხავით, იმ საზოგადოების წევრათ. ის სტატია, როგორც გვახსოვს, იყო გადმობეჭდილი „Кавказ“-ში, იმავე წელს.

1844 წელს ბარათაშვილმა ცოლი შეირთო და ყველამ ვიცით, საყვარლო მკითხველო, რა მნიშვნელობა აქვს ამისთანა შემთხვევას ყოველის ღარიბ-კაცის ცხოვრებაში. ამის შემდეგ ბარათაშვილი თუმცა შეუდგა იმ აზრს, თუ როგორ ეცხოვრებინა თავისი სახლობა; მაგრამ ისტორიისთვის მაინც თავი არ დაუწევებია. ამ ფიქრით ის ქალაქს გარეთ განწესდა. იქ თავისი მოგროვილის მასალის გაჩხრკას შეუდგა, და შემდეგ დაწერა პროგრამასავეთ: „Краткое историческое обозрѣние постепеннаго паденія Грузинскаго царства“, რომელიც იწყება ღვით აღმაშენებლიდგან, ვიდრე II პეტრელებდნენ. რადგანაც აპირებდა ვრცელი საქართველოს ისტორიის გამოცემას, ამისთვისაც ეს არ დაბეჭდა.

უკანასკნელს დროს, რაკი ნახა, რომ ბევრმა ჯაფამ, უსიამოვნობამ ცხოვრებაში და თავის ნათესავობაში, მამულების გამო, უდროოდ დააბერა, მაშინ მიჰყო ხელი თავის გულის წადილის ასრულებას. დაწერა პირველი რეეული „Исторія Грузіи“, რომელიც შარშან დაბეჭდა; ამის გარდა მეორე, მესამე და მეოთხე რეეულებიც მზათ ჰქონდა, და უნდოდა იმეების დაბეჭდასაც შესდგომოდა; მაგრამ ამ დროს სიკვდილმაც მოასწრო.

ჩვენ არ შეუდგებით იმის პირველის რეეულის გაჩხრკას, რადგანაც ყველა რეეულედი არ არიან დაბეჭდილნი და ამის გამო საზოგადო გარკვევა და დაფასება მთელის ისტორიისა ჯერ არ არის შესაძლებელი. ამას კი ვიტყვით, რომ იმ ისტორიულის მასალების შეკრებას, რომელსაც აცხადებს ის თავის ისტორიაში, ძალიან ბევრი წვალება და შრომა უნდოდა.

შეველამ ვიცით, რომ საქართველოს ისტორიისთვის ბევრი მასალები შეგროვებულია ქართველოს გარდა, სხვა ქვეყნებშიც, რადგანაც ის არის ძველი ქვეყანა; ბევრი შესანიშნავი ისტორიული ფაქტები შეიძლება მოიძებნოს მატეკანში (რომში), ბენუაში, პარიჟშიც და სხვ. რაც კი ღონის ძიება იყო და შეიძლებოდა რუსეთში მოგროვება, ბარათაშვილმა თითქმის სულ მოაგროვა. იმისი ყოველ ამის ნატვრა ეს იყო: „ნეტავ ერთი რამე ღონის ძიება მომეცესო, რომ საზღვარს გარეთ წავიდეთ, და ავასრულოთ ჩემი გულის წადილი: მოვაგროვო ის მასალები, რომლებიც მაკლიაო.“ ამისთვისაც იმან ბევრი ეცადა და შეადგინა სია იმ მასალებისა, რომლების პოვნაც მსურდა და ეგულგებოდა მატეკანში, რაკი დარწმუნდა, რომ ვერ მოუხდებოდა საზღვარს გარეთ წასვლა, მაშინ იმან დააპირა სხვა გზით აესრულებინა, ცოტათ მაინც, თავისი გულის წადილი. მრით თუ სამი წელიწადი იქნება, რაც აქაური ფრანგების პრელატი, მორლოვსკი, იყო რომში. შეიტყო თუ არა ბარათაშვილმა ესა, მაშინვე გაიცნო ის; იმისგან შეიტყო, რომ მატეკანის ბიბლიოთეკა აბარიაო ძალიან კარგს პირსა; მორლოვსკიმ მისცა ადრესი მეგიბლიოთეკისა და უთხრა, თუ მისწერო აქედგან, რაც საქირო იქნებაო, ყოველის ფერს შეგატყობინებო მასალების შესახებ. რასაკვირველია, თუმცა ძალიან ძნელი საქმე იყო, მაგრამ საწყალსა მსურდა, რომ ესეც ეცადა. ეს ამტკიცებს, რა ნართ უყვარდა თავისი საქმე და რანაირათაც ჰქონდა თავი დადებული ამ საქმის ასრულებისთვის.

ჩვენ, ჩვენის მხრით, ვიტყვით რამდენსავე სიტყვას, თუ როგორ უყურებდა ის ისტორიას. რაც კი დაუახლოვდით საწყალს ბარათაშვილს, იმისი თქმა სულ ის იყო, რომ საქართველოს რიგიანი ისტორიის დაწერა ძალიან ძნელიაო, რადგანაც რიგიანი მასალები არ არის ნაპოვნიო, და რაც კი მასალები არისო, იმათ ძალიან ღიდი კრატეული სჯა უნდაო, რადგანაც ერთი-ერთმანეთს ეწინააღმდეგებაო. ამისთვისაც არის საქირო, რომ რიგიანი მასალები მატეკანში და ბენუაში მოიძებნოსო. მატეკანში იმიტომ, რომ აქაურის ფრანგების ადრინდელი პატრების მიწერ-მოწერა სულ იქ არის შენახულიო და ბენუას იმიტომ, რომ ადრე გენუელებს ჰქონდათო აქ ღიდი ვაჭრობაო.

როდესაც კი მოვაგონებდით განთქმულს ისტორიკოსებს: შლოსსერს, ბოკოს და სხვ. ის გვიპასუხებდა ხოლმე: „რასაკვირველია, უნდა გვსურდეს, რომ ჩვენი ისტორიაც იმ პროგრამით და იმ აზრით დაიწეროსო, როგორც იმ პირებმა გამოაცხადესო, მაგრამ ჯერ მასალების შეგროვება უნდაო, მერე რიგიანათ გაიჩხრკოს გე მასალებიო, შემდეგ, ვინც შეიძლება, დასწეროსო იმ პროგრამით საქართველოს ისტორიაო. მე ხომ ველარ მოვესწრებო, დაუმატებდა ხოლმე საწყალი ბარათაშვილი, ეს ახალგაზდა შთამომავლობის ეალიაო, რადგანაც იმას უფრო მეტი შეუძლიან სწავლის საშუალებით. თვით სწავლაც თანდა-თან წინ მიდისო. მე, რაც შემიძლიან მასალას შეგიზადებთო და დანარჩენი თქვენი საქმეაო.“

ახალ-გაზდა ხალხზედ და ახალ-ჩამომავლობაზედ ძალიან იმედი ჰქონდა, მაგრამ ვინ იცის!..... იმ ფაქტის დასამტკიცებლათ, რომ ის ისტორიას ძალიან ღრმად უყურებდა და ყოველს მასალას განუსჯელათ არ მიიღებდა ხოლმე, წარმოუდგენთ მკითხველებს ერთს ფაქტს. ამ სამის წლის წინათ, როცა ის თავის ისტორიას სწერდა და მივიდა მე XIII საუკუნემდინ, ესე იგი იმ დრომდინ, როდესაც არაბელები ფლობდნენ თფილისს, იმან დაიწყო შლოსსერის ისტორიის კითხვა, სადაც მე V ტომში იპოვნა ის ფაქტი, რომ ვითომც თფილისში მაშინ ომსერვატორია ყოფილი-

გამოცემის სიტყვა თავად სულხან ბარათაშვილზედ.

13 აგვისტოს 1866 წ. სოხუმში გადაიცემა საქართველოს ისტორიკოსი თავადი სულხან ბარათაშვილის ძე ბარათაშვილი. რადგანაც ისი სიკვდილი ძალიან ღიდი დანაკარგია ერთვის, როგორც შეიტყობს მკითხველი ქვეყნისა და ეს სახელი მაგდენათ არ არის გაგრძელებული ქართულის ლიტერატურაში, და რასაც იქნება პირველათ ესმოდესო, ამის-თვის ეგონებოთ საქირო იქნება ესტკვით რამდენიმე სიტყვა იმაზედ.

თავადი სულხან ბარათაშვილი დაიბადა 21 წელს 17 სექტემბერს.

ისევე ძალიან პატარა იყო, რომ დედაც და მამაც დაეხოცნენ. ჯერ სულხან ბარათაშვილი გიმნაზიაში სწავლობდა და მესამე კლას-



ყოს. (1) ძალიან გამიკვირდა, ამბობდა საწყალი ბარათაშვილი, და რადგანაც ამაზედ არა ვიცოდით, მინდოდა შემეტყუო ნამდვილათ: თუ ესის აზრი ყოფილაო ტფილისში ობსერვატორიის აშენება, და მართალია ეს ფაქტი, თუ არაო. ამის შესატყობათ მისწერა ბრინჯის, პარისის და პულკოვის (პეტერბურგის ახლო) აბსერვატორებში, რომ იქიდან ეცნობინებინათ, ხომ არაფერი ცნობა არა აქვთ რა ამ საგანზედ. პულკოვიდან მოსწერეს, რომ აქ ამაზედ არაფერი ცნობა არ შენახულაო. პარიჟიდან და ლონდონიდან კი არაფერი პასუხი არა მოუვიდარა, თუმცა ძალიან ჰსურდა საწყალსა.

ბარათაშვილი თავ-გადადებული იყო იმ საქმისთვის, რასაც ყმაწვილობითვე შეუდგა. მისაქ კი უცდია ამისთანა საქმი, ყველამ იცის, რომ სიძნელეს მეტი, იმას ბევრი წყალობა და ძალიან ბევრი ხარჯიც უნდა, მაგრამ ის ამისთვის არაფერს იშურებდა, თუმცა იმისთანა შეძლება არა ჰქონდა, რომ დაეხარჯა იმაზედ მეტი, რაც საცხოვრებლად უნდებოდა.

სამსახურშიაც, როგორც ვიცით და გვიმტკიცებს იმისი ცხოვრება, ძალიან უბედური იყო. მართლაც იმისთანა ხასიათიანი კაცები სამსახურში წინ ვერ წავლენ. იმისთანა განუდრეკელის ხასიათის კაცს ვერ შეიფერებდა სამსახური, თუმცა ძლიერგამოჩენილის ალაგის ღირსიც იყო სამსახურში. იმის დასამტკიცებლათ: თუ რა განუდრეკელი ხასიათი ჰქონდა, თუ მართალი იყო. არავის ღუთმობდა, წარმოუდგენთ მკითხველებს მრავალს ფაქტ-ბიდან ერთს. ამ ათ-თერთმეტს წლის წინათ, იმ ადგილს, სადაც ის იყო სამსახურში ერთს ალაგას, სოფლათ მივიდა იმისი უდიდესი უფროსი. რადგანაც ღამე იყო, არავის იცნობდა და არსად ეგულებოდა ბინა, რომ ჩამომხტარყო. ამიტომაც ამა უბრძანა თავის ბიჭს, რომ მისულიყო თავის ქვეშევრდომის სახლში და პირდაპირ უკითხველათ შეეტანა ბარგი იმის სახლში. იმ დროს თითონ სახლის პატრონი შინ არ იყო. იმის ცოლს ძალიან გაუკვირდა, რომ უკითხველათ ეილაც შემოუვარდა სახლში და აგრეთვე იმისთანა კადნიერობა, რადგანაც სახლის პატრონის ცოლს სრულდებით ალაგი არა ჰქონდა, და თითონაც ავით იყო, შეუთვალა რომ არ ჩამოხტეს იმის სახლში, და დაპირდა სხვა რიგიანის სახლის შოგნასა. შეროსმა სრულდებით ყური არ ათხოვა და ისე იქცეოდა, ასე გონია აკლებულს სოფელში მოვიდა და შეუძლიან ყოველის ფერი ჩაიდინოსო. ჩამდენიმე თხოვნის შემდეგ, სახლის პატრონის ცოლმა შეატყობინა სულხან ბარათაშვილს, რადგანაც, სახლის ახლო ნაწილი იყო, და ისიც იმის წოდებაში ირიცხებოდა და სთხოვა იმას, რომ როგორმე უფროსი სხვაგან სადმე გადაეყვანა. ბარათაშვილმა პირველათვე აუხსნა სახლის-პატრონის ცოლის მდგომარეობა და სთხოვა ჩემთან გადმოხდნით, რადგანაც მე მეტი ალაგი მაქვს; მაგრამ ამაზედ უფროსმა ყური არ ათხოვა და უფრო უფროგოტკევა დაიწყო უცხო სახლში. მაშინ სულხან ბარათაშვილი მოთმინებიდან გამოვიდა და უთხრა იმას, რომ თუმცა ეს სახლი თქვენი უმცროსისა არისო, მაგრამ არა ფერი უფლება არა გაქვთ უცხო სახლში ჩამოხტეთო და ისე მოეპყრათ სახლის პატრონს, როგორც დამონაგებულს ტყვეს. რასაკვირველია უფროსმა არ მოუთმინა და ამაში გაიმართა ჩხუბი, რომელიც იმითი დაბოლოვდა, რომ ბარათაშვილმა თავისი ბარგი გარეთ გადმოუყარა იმას და თითონ უფროსიც კარში გაისტუმრა. ამ მოკლე აღწერას სულხან ბარათაშვილის თვისებისას ჩვენის მხრით დაუმატებთ,

(1) Всемирная История, Ф. Шоссера, т. 5, стр. 205.

კიდევ, რომ ის იყო კარგათ განათლებული კაცი, რიგიანი ქართველი და პატრიოტი. როგორც ზევით წარმოვიდგინეთ, ის თავის თავის განათლებას თვითონვე შეუდგა და ბევრიც შეიძინა. ის არ გვანდა იმ ტყუილ განათლებულ კაცებს, რომლებიც თუთი-ყუში-ვით დაისწავლიან რამდენსავე ახალს სიტყვებს და სადაც მოხვდებოთ, საჭიროა თუ არა, წინდაუხედვით გამოისვრიან. ამან თავისი მეცადინეობით ისწავლა ფრანკისული, ლათინური და ნემესური ენები; მაგრამ ქართულს წერას არ იყო მიჩვეული. ბარათაშვილი ხშირად სწუხდა ამ გვარის თავის ნაკულეცანებისთვის და ნაღვლიანად უჩივდა თავის გარემოებას, რომელმანაც არ ააცილა იმას ეს ნაკულეცანება. პატრიოტობა და ქართველობა იმას სრულდებით ისე არ ესმოდა, როგორც ესმით ჩვენს ძველს ქართველებს, როგორც ესმით თავიანთ პატრიოტობას და ქართველობას ამტკიცებენ იმითი მხოლოდ, რომ ჩოხა აცვიათ და ქართული ქუდი ჰხურავთ, სხვანაირათ კი იმოღვანათ ფიქრობენ ქართველების კეთილ-დღეობაზედ, წინ-წასვლაზედ და განათლებაზედ, როგორც ჩინეთის იმპერატორის კარგათ ყოფნაზედ. იმას ესმოდა, რომ ცარიელი სიტყვებით და ყბედობით არა გარბოდებოდა, თუ საქმითაც არ აჩვენა კაცმა ხალხს თავისი სურვილი. ამიტომაც ჩამდენიც შეიძლო გააკეთა. ის იმდენათ იყო ნამდვილი ქართველი და პატრიოტი, რომ სულ ყველა ახალი დასაწყისი რასაც კი, იმის გზით, შეეძლო შემატება საქართველოსთვის, იმას ალტაცებაში მოიყვანდა ხოლმე. არ მალავდა და აშკარათაც ამბობდა, რომ საქართველოს თუ ვისიმე იმედი აქვს შემდეგში — უეჭველად ახალგაზდობისა და არა სხვისა; ჩვენ, — ძველი ხალხი სულ-წასული ვართო. ამ საწყალს ისე უყვარდა და იმედი ჰქონდა ახალგაზდა ხალხისა ბოლოს დრომდის, როგორც 25 წლის წინათ.

დასამტკიცებლათ, რომ ძალიან უყვარდა ახალგაზდობა წარმოადგენთ ამ ფაქტს: როდესაც ჩვენმა ახალგაზდობამ, 1863 წ. დააპირა „საქართველოს მოსამის“ გამოცემა, მაშინ ჩვენ მივწერეთ სულ. ბარათაშვილს, რომ მონაწილეობა მიეღო და გამოეგზავნა რამე თავისი თხზულება. იმან მაშინვე გამოგზავნა თავისი პირველი რეცული საქართველოს ისტორიისა და ძალიან ბოდიშსაც თხოვდა, რომ ქართულათ არ არისო დაწერილი და ვეცდები კიდევ სხვა რამე შემწყობაც მიეცოა ჟურნალს. „საქართველო მოსამის“ მკითხველებმა იციან, რომ ის თხზულება იყო დაბეჭდილი რამდენსავე ნუმერში. იმის მეტ, ღმ. შიფანის და ბიორგი მრისთვის მეტს არავის ძველ-კაცთაგანს შემწეობა არ მოუცია იმ ჟურნალისთვის.

ამ ჟამად ამის მეტს ევლარს ვიტყვით ბარათაშვილზედ. ის მოგეკლდა და სხვაკი ჯერ ვერავის ვხედავთ უკეთესს. პიდეც იმითმ ვართ უფრო უბედურნი, რომ იშვიათათ იპოვებთან ჩვენში ამ გვარნი რიგიანნი პირნი, და თუ როდესმე გამოჩნდა ენმე, იმასაც სიკვდილი მალე გაიტაცებს, თითქმის იმისთვისაც ისე საჭირონი იყვნენ ის პირები, როგორც ცოცხლებისთვის. მაგრამ ეს არის ბუნებითი კანონი და ჩვენზედ უფრო აშკარათ ასრულებდა ის კანონი, რომ ჩვენში რიგიანი და დაწინაურებულნი პირნი დიდხანს ვერ იცოცხლებენ. მინც ფიქრობს, ზოუნავს და ყველა უწესოებაზედ გული უკვდება და ოხრავს, იმას მოკლე სიცოცხლე აქვს. ჩემო ქართველო, ამისი კი შენ ნუ გეშინიან, ამისთვის რომ ძალიან ცოტასა ფიქრობ, ამიტომაც დიდხანს იცოცხლებ; მაგრამ იმასაც გეტყვი და არ დაგიმალო, რომ ის მოკლე სიცოცხლე სჯობს, 100 წლის უგუნურს და პირუტყულს სიცოცხლეს.

როგორც ვიცით სულხ. ბარათაშვილს დაჩნდა მზათ ისტორია გათავებული, დასაბეჭდათ, დაეწი: „აღმავნებლამდინ. ღმერთმა იცის რა შემდეგი ექმნება და ან როგორ გამოიყენებენ თითქმის 30 წლის განმავლობაში დიდის გაქირვებით შეგროვებულს იმის ისტორიულს მასალებს. ნუ თუ იმისი შრომა თუქათ ჩაივლის! აბა, ახალგაზდა ხალხო, რომლის იმედიც ძალიანა ჰქონდა საწყალს ბარათაშვილს, შენ მაინც დაასრულე იმისი დაწოილი საქმი; თუმცა იმოღვნი ტანჯვა და წყალობა არ უნდა იმის მასალების გარკვევას, რამდენიც უნდა იმის შეგროვებას და პოვნას. მინამ ამისთანა პირი გამოვა, ვიტყვი, რომ ქართველი კაცი თავის თავზედაც არ არის დაჩვეული ზრუნვასა, არამც თუ საზოგადო სარგებლობისთვის იზრუნვოს. ამისთვის ისიც კარგია, თუ ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ შეიბრალდება მაინც საწყალს სულხან ბარათაშვილს; მაგრამ ეგ ფიქრიც არ მოგივა, ჩემო ქართველო, თუმცა მაგითი ვერაფერს შეჰმატებ იმის დაწყებულის საქმეს. შენი ჭკუით, ძალიან დიდ საქმესა იქ, თუ ქვეყნის დროს ხუთ ექვს წვეთს წითელს ღვინოს პურზედ დაწვეთებ და შენდობას ეტყვი!.....

ამ ქვეყანას ვერ მოისვენე, ჩემო ძვირფასო ძმაო; მაგრამ იმ ქვეყანას მაინც საუკუნოთ მოისვენებ.

სულხან ბარათაშვილს დარჩა ცოლი და ჩამდენიმე წწილი შვილი.

მასტანგ თულაშვილი.
14 ოკტომბერს.
ტფილისი.

ტ ე მ ე ბ რ ა მ მ ე ბ ი,
პეტერბურგში მიღებული.

კალკუბტა, 26 აგვისტოს (7 სექტემბერს). ბირმის კაროლი ტყვედ წაიყვანეს, მაგრამ მერე გაანათავისუფლეს, როცა განდგომილები დაამარცხეს. იმ ევროპელებისთვის, რომლებიც ბირმაში სცხოვრებენ, არა ფერი ენება არ მიუციათ.

ნუ-იორკი, 22 სექტემბერს (4 ოკტომბერს). იმპერატორმა მაქსიმელიანმა ერთს სიტყვაში წარმოსთქვა, რომ ის არ წავა მენიკიად.

ნუ-იორკი, 16 (28) სექტემბერს. პიტ-ტსბურგში მოხდა სალდათების და მებრძოლ-დეების მიტინგი, რომელმაც გამოუცხადა თავისი თანაგრძნობა რადიკალურს პარტიას.

მეგრე დაინიშნა ჩრდილოეთის ამერიკის ელჩად ბოლანდიის საკაროლოში.

მეხიკიად მოვიდა ამაღი, რომ შრანციის ჯარმა დასტოვა ზუანანუანტო და რესპუბლიკანელებმა დაიპყრეს ეს ქალაქი.

რესპუბლიკელების ღენერალმა მარტინეცმა, ხერცის დაპყრობის შემდეგ, დახოცნა იქაური გარნიზონი.

ნუ-იორკი, 3 (15) სექტემბერს. ზაფეთში New-York Herald ამტკიცებენ, რომ სამხედრო მინისტრმა სტანტონმა და ღენერალმა ზრანტმა ურჩიეს პრეზიდენტ-ჯონსონს, რომ იმან მოიწვიოს სამხრეთის შტატები იმ ცელილების მისაღებად, რომელიც კონგრესმა შეიტანა კონსტიტუციაში.

პალმერს, 22 სექტემბერს (4 ოკტომბერს). მშვიდობიანობა სრულიად დაწყარდა პალმერში.

ბენუა, 22 სექტემბერს (4 ოკტომბერს). ჰალაქი მოირთო დროშებით შერიგების ტრაქტატის დამტკიცების გამო.

ფლორენსია, 23 სექტემბერს (5 ოკტომბერს). იტალიის სენატი შეიკრიბება 29 სექტემბერს (11 ოკტომბერს) აღმირალს პერსანოზედ სასჯელის მოსაგდნათ.

ნეაპოლი, 23 სექტემბერს, 5 ოკტომბერს. ჰალაქი ბაიარლებით მოირთო, როცა

აესტრიამ და იტალიამ შეიკრიბეს ტყვედ ხელი მოაწერეს. **ბ ი რ მ ი მ ი მ ე ბ ა**

მანა, 24 სექტემბერს (6 ოკტომბერს). ოფიციალურს მენის ჰერალში მოიხსენებენ იტალიასთან შერიგებას, როგორც სასიხარულო შემთხვევას: „ჩვენი გულ-წრფელი წადილი ის არის, რომ მოესპოთ და განვაქაროთ ჩვენის მტრის გულში ყოველივე სიძულილი, რომ მან სცნოს, თუ რა დიდია სასარგებლო იმისთვის, რომ მტკიცედ დაიცვას მან ძმური და გულითადი კავშირი აესტრიასთან. აესტრია მოიქმედებს ორს დიდს საქმეს: დაუთმობს იტალიას მენეციის მახრას და აღიარებს იმას, რომელშიაც არ იპყრობება არა ვითარი საიდუმლო აზრი. აესტრიამ თავისი მნიშვნელობის დასაცვლად მეროპაში განუტევა სამხრეთი. ჩვენ კმაყოფილებით მოვიხსენებთ, რომ ამ დროიდან გათავდა ბრძოლა ზერმანისა იტალიის მიწაზედ თავისი შინაგანის მდგომარეობის გასაძლიერებლად იტალიამ უნდა დაიცვას აესტრიასთან მტკიცე ვაჭრობის კავშირი. შემდეგ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ იტალია აღარ აღიძვრის პრუსიასთან ერთად საბრძოლველად და ვრაცხთ ამისთანა საქმეს უსამართლო და სასამშრო მოვლენად.

კონსტანტინოპოლი, 24 სექტემბერს (6 ოკტომბერს). მანდიში ჩქარა მოხდეს უმთავრესი ბრძოლა მსმალეობსა და განდგომილებს შორის.

მევიტის ჯარის უფროსი მანდიდამ მოთხოვნილია. ამბობენ, რომ ღენერალი ბრიგსი მოუკლავთ. მანდიას მოადგა შრანცი ჩაქანმოსილი ხომალდი.

კონსტანტინოპოლში მარინდამ მოვიდა ათასი მსმალის ჯარი, რომელიც გაგზავნეს იესალაში.

უ. სუარდმა მიიღო ისევე უცხო-ქვეყნის საქმის მინისტრობა.

კონსტანტინოპოლი, 24 სექტემბერს (6 ოკტომბერს). მსმალის მინისტრების უმეტეს ნაწილს ჰსურს მოსპოს ყოველივე დიპლომატური კავშირი საბერძნეთთან, მაგრამ დივეზირი და ალი-ფაშა ეწინააღმდეგებიან ამას. შიში აღრეულობის მოხდენაზედ მაშინ და იესალაში თან-და-თან ძლიერდება.

პარიში, 25 სექტემბერს (7 ოკტომბერს). ზაფეთში Patrie სწერენ, რომ მანდიის განდგომილებმა გაუგზავნეს, 12 (24) სექტემბერს, დებუტატო შრანციის ელჩს, რომელიც იმყოფება მანეში და შრანციის ელჩის უფროსს, რომელიც სდგას ახლო მანდიის კუნძულთან. მაგრამ ამით ორივემ მოუცხადეს დებუტატებს, რომ კანდილენუ იქმნებთან დაიმედებულნი შრანციის დამარებაზედ, რომ იმით მსმალეთს თავი დასწან და დაუმატეს, რომ პორტა დაკმაყოფილებს კანდილების სამართლიანს თხოვნას და ამისთვის სასარგებლო იქნებოდა იმათთვის, რომ მსმალის მმართველობასთან დაეწყო მოლაპარაკება.

კონსტანტინოპოლი, 25 სექტემბერს (7 ოკტომბერს). ჰერალში La Turquie ამტყუნებენ იმ ხმას, რომ ვითომც ბერძნების გარნიზონი პორფუდამ დაეცა მსმალ ქალაქს პერევეზას და დაიპყრო იქაური ფრთი. ამასთან ამტყუნებენ იმ ხმასაც, ვთმც ბერძნების ჯარი მასტრასთან გადმო მსმალის საზღვარს და დაეცა პრტას. მპრიგზავნება ახალი მსმალის ჯარი.

მსმალის მმართველობა ენერგიულ-იქცევა და უნდა, რომ უთუოდ 3 (15) ოკტომბერს მშვიდობიანობა აღადგინოს მანდი კუნძულზედ.

ბერლინი, 26 სექტემბერს (8 ოკტომბერს). ღღეს ზაფეთში Montags-Zeitung ბეჭდილია კორრესპონდენცია მენიდან, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ზრანციის

თბილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ, სტამბაში, ბალაიშის პროსპექტზე, რეიტერის სახლში, სადაც ბერძენთა წიგნის მაგაზინი იყო.
თბილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Вь Тифлисе. Вь контору редакцїи грузинской газеты „ВРЕМЯ“.
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ნებზე. შასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრეის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კპ.

როგაზეთი.

ბი ის მაგალითი, თუ განკარგულების მომხდენი მმართველობა სავსეა ნებზე და დანახვას ამ წინააღმდეგ პასუხს, მაშინ ის შეასწორებს სიებს ამ პასუხის თანახმად და წარუდგენს ამ სიებს გასახილველად ქალაქის საზოგადო კრებას თავის დასკვნითურთ იმ წინააღმდეგ აზრებზედ, რომლებსთვისაც განკარგულების მომხდენს მმართველობას ყურადღება არ მიუქცევია.

§ 73. ქალაქის საზოგადო კრება განიხილავს შემოხსენებულს სიებს, დაამტკიცებს და გადაწყვეტს განკარგულების მომხდენს მმართველობას ერთი თვის წინათ ამოჩვევის მოხდომადის, იმ განზრახვით, რომ იმან დროზედ მოახდინოს განკარგულება ამომჩვევების შესაყრებათ და გამოუცხადოს ყოველგვარი ცვლილება, რაც იმან ჰყო ამომჩვევების სიებში.

§ 74. თუ რომელიმე პირი არ დაჰკმაყოფილდა ქალაქის საზოგადო კრების განმარტებაზედ, იმას შეუძლიან ათის დღის განმავლობაში, იმ დროდამ, როცა ეს განმარტება გამოაცხადეს, იჩილოს გუბერნიის სასამართლოში. თუ გუბერნიის სასამართლო საზოგადო ყრილობაში დარწმუნდება, რომ კერძო პირის საჩივარი სამართლიანია, მაშინ ის თავის გადაწყვეტილებას აცნობებს განკარგულების მომხდენს მმართველობას, რომ იმან ამ გადაწყვეტილების თანახმად მოახდინოს ცვლილება ამომჩვევების სიებში.

§ 75. თუ რომელიმე გარემოების გამო გუბერნიის სასამართლო ამოჩვევის დროს დადგომადის ვერ მოახდინა თავის გადაწყვეტილება, მაშინ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება დაირღვეს ამოჩვევა, როდესაც, უკანონოდ ამოჩვეულს პირებს გარდა, ამოჩვეული პირი ვერ მიიღებდა უმეტესს ხმას, თუ გუბერნიის სასამართლოდამ გადაწყვეტილება მოსწრებოდა.

§ 76. კრება შეირაცხება წამდელიად მხოლოდ მაშინ, როდესაც კრებაში ერთი მესამედი წარმომადგენლებისა მაინც იმყოფება.

§ 77. კრებაში უნდა იმყოფებოდნენ თავს მჯდომარედ: ერთი განყოფილებაში—ქალაქის თავი და მეორე განყოფილებაში—თავისაგან ამოჩვეულნი მეუფროსნი და განკარგულების მომხდენის საზოგადოების წევრნი, რომლებიც ამოჩვევიან ქალაქის მცხოვრებლების სხვა და სხვა რიგები.

§ 78. ქალაქის მცხოვრებლების თვითოეული რიგი ცალკე ამოჩვევს თავის წარმომადგენლებს, მაგრამ როდესაც ამომჩვევები ბევრი იქნებიან, მაშინ იმათ დაჰყოფენ უბან უბანთ, ისე რომ თვითო უბანში ექვს ასს კაცზედ მეტი არ უნდა იყოს. თვითოეული უბანი ამოჩვევს იმდენს წარმომადგენელს, რამდენიც იმას შეეხება განკარგულების მომხდენის მმართველობის ანგარიშით.

§ 79. როდესაც ამოჩვევა გათავდება, მაშინ თვითოეულის განკარგულებულის კრების თავს-მჯდომარე ყველას წინ შეადგენს სიებს ამომჩვეულის წარმომადგენლებისას და წარუდგენს განკარგულების მომხდენს მმართველობას, და ის კი ყველა ამ გვარს სიებს წარუდგენს, § 13 ძალით, ქალაქის საზოგადო კრების განსაზღვრულად, და შესაბამისებლად, შენიშნა. თავ-დაპირველად, როდესაც

ლუბოვსკის დანიშვნა მმართველად ბალიცაში არ არის სასაშიშრო რუსეთისთვის. იმისი დანიშვნა მართლაც იმას ამტკიცებს, რომ პეტროვმაზათ არის შემოიერთოს თავისი მფარველობის ქვეშ ყველა კათოლიკის სარწმუნოების პოლ-შეგლები, მინამ გახადოს ისინი რუსეთის საღვ-ელთო და მით დააკარგინოს პოლშეგლებს თავისი ხალხობა.

პრუსიის მეცხვიდრე პრინცი თავისი მეუ-ლით (კაროლევის მიტროპოლის ქალით) ამ მოკლეს ხანში გამგზავრდება ანგლიში.

ბერლინი, 26 სექტემბერს (8 ოკტომ-ბერს). დღეს დილით შრანკურტ-მინზელ-პასსელში და მისბადენში კაროლის პრუ-ლაშიამ დიდს ხალხის ყრილობას გამოუც-ხადა, რომ პრუსიას მიეცემა სამფლობელოდ ახალი მაზრები. მშვიდობიანობა არ დარღვე-ულა.

ალექსანდრიაში და ბეჯასში სოფერა არის.

ბერლინი, 28 სექტემბერს (10 ოკტომ-ბერს). მრთს გაზეთში წერენ, რომ ბელგიის მმართველობას, მარკიზის ლავალეტის ცირ-კულიარის გამო, უნდა დაეგეო, დაეხმარება თუ არა ანგლია ბელგიას თავის დაუმოკიდე-ბლობის დასაცველად, რუ საჭიროება ამას მოითხოვს. უცხო ქვეყნის საქმის მინისტრი სტენდი ცხადის სატყვეობით ჰპირდება ბელგი-ას, რომ ანგლია დაიცავს იმას და დაეხმარ-ება.

ბრისესტი, 28 სექტემბერს (10 ოკტომ-ბერს). პორტუგალია იწერებთან, რომ 26 სექ-ტემბერს (8 ოკტომბერს) მოელოდნენ ქრი-სტიანების აღდგომას შირში და მისსალიაში.

ბუხარესტი, 28 სექტემბერს (10 ოკ-ტომბერს). პრინცი მარლი ლოდენცოლერ-ნისა აპირებს თითონ წასვლას ქონსტანტი-ნოპოლში იმ დაბრკოლების მოსახსნებლად, რომელიც უშლის პორტას, რომ ის აღი-როს რუმინის მთავრად. პრინცის წასვლის დრო ვერ დანიშნული არ არის.

ბერლინი, 28 სექტემბერს (10 ოკტომ-ბერს). ბერლინის საბირჟო ბაზაზეში იტა-ლიის და პეტრიის შერიგების გამო, ზომ ამ დღეებში იტალიის მმართველობაში გამოუც-ხადა თავისი მადლობა პრუსიას, რადგანაც ის ეხმარებოდა პეტრიისა და იტალიის შე-რიგების ტრაქტატების შედგენაში და ამასთა-ნავე გამოუცხადა იმას თავისი გულითადი მე-გობრობა.

ვლადიმერია, 29 სექტემბერს (11 ოკ-ტომბერს). მფიცალურად გამოცხადებულია, რომ პალერმოში აღრეულობის დროს მოკლა 7 აფიცარი, 27 დაიჭრა და ამათ გარდა 332 იმპერატორი, როდესაც ის თეატრიდამ გამო-დიოდა.

პორტუ, 26 სექტემბერს (8 ოკტომ-ბერს). პანდიდამ ბერძენებ იწერებთან, რომ 20 სექტემბერს (2 ოკტომბერს) ამ კუნძულ-ზედ სრულიად დამარცხეს ოსმალთა და მეგიტის ჯარი.

პანდიდებმა წაიყვანეს ტყვედ რამდენიმე ათასი კაცი, მაგრამ გაანთავისუფლეს ისინი და დაფიცეს, რომ ისინი აღარ იომებენ ბერ-ძნების წინააღმდეგ პანდიდებ.

პონსტანტინოპოლი, 29 სექტემბერს (11 ოკტომბერს). ოსმალელები გეაცნო-ბებენ პანდიდამ, რომ განდგომილები გა-და-სტყორცნეს მთებში და ზოგიერთს ამ ჯარის წაწილს გარსაც შემოერთებენ, როგორც ხმე-ლეთით, ისე ზღვით. პანდგომილებს შერიგე-ბა არა ჰსურთ. ბერძნების სახლობანი მიდიან საცხოვრებლად თავიანთს უწინდელს ბინებზედ. ანტიტაერში ოსმალთა დაუწყა. ომი გან-დგომილებს.

ალმოსავლეთ-ინდოეთში ჰსურთ, რომ ბირმის იმპერია მიემართოს ანგლიის ალმოსა-ვლეთის-ინდოეთის მფლობელობაებს. რად-განაც, ახლა იქ შიმშილია, ამასთვის ადვილათ შესაძლებელია, რომ ის შეუერთდეს. ძაბულში შიზალი-ხანი დაცა აზიზ-ხანს და აფსულ-ხანს.

ბრისესტი, 28 სექტემბერს (10 ოკტომ-ბერს). პანდიდამ მოდის ცნობა, რომ მამად-კირიტლი-ფაშას მიანდეს დესპანობა პანდი-აში და იმან ისე კარგათ წაიყვანა საქმე, რომ შერიგება ჩქარა მოხდება.

ვლადიმერია, 29 სექტემბერს (11 ოკ-ტომბერს). ციხეები მანტუა და პესკერა სრულებით დასტოვეს ავსტრიელებმა და იტა-ლიას გადასცეს.

თბილისში მიღებული.

პეტერბურგი, 9 ოკტომბერს. მისი შმა-ლესობა მეცხვიდრე სესარეიის საცოლო პრინცესა ღაგმარა კურთხევით მირან-ცხე-ბას მიიღებს 12 ოკტომბერს, და 13 ოკტომ-ბერს მოხდება იმისი დანიშვნა.—შმაღლესის უქაზით უზენაესის სისხლის სამართლის სამს-ჯავრო გაუქმდა.—6 ოკტომბერს შენეცია გადასცეს იტალიის მთავრობას.

პეტერბურგი, 17 ოკტომბერს. მფიცა-ლურის ცნობით ოსმალელებმა და მეგიტის ჯარმა მძიმეთ დაამარცხეს კანდიელები.

პეტერბურგი, 18 ოკტომბერს. 15 ოკ-ტომბერს პრაგაში შეიპყრეს ერთი მოხელე-მუშა, რომელსაც უნდა მოეკლა პეტრიის იმპერატორი, როდესაც ის თეატრიდამ გამო-დიოდა.

გიგლიოგრაფიული ცნობა.

დაიბეჭდა და გამოვიდა:

სახელმძღვანელო

რუსულის მისი სასწავლებლად ჰართველ ახალ მოსწავლეს შეაფილავისთვის.

შედგენილი ბ. პ.—შვილის მიერ.

შასი 1 მანეთი და 25 კპ.

ისეილება: **თბილისში**, მელიქიშვილის და კამ. სტამბაში, ბალაიშის პროსპექტზე, რეიტერის სახლში; სემენერიაში, უფ. იაკობ ბოგებაშვილისას. **ქუთაისს**—ბერასი პალენდარაშვილისას.

იბეჭდება და ამ ციკლა ხანში გამოვა: **ჰართული ანბანი**, შედგენილი პ. შმიკაშვილი-საგან. მესამე გამოცემა. შასი იქნება ერთი შაური.